# პერსონალური მონაცემების გამოყენების რეგულირება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
2014 წელი

ქეთევან რეხვიაშვილი
სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

# პრეზენტაციის მოკლე მიმოხილვა

- ✓ საქართველოში არსებული მდგომარეობა
- ✓ საერთაშორისო პრაქტიკა
- ✓ საქართველო - შემოთავაზებული მიდგომა

# საქართველო - არსებული მდგომარეობა

- კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;

  აღნიშნული კანონი შეიქმნა ევროდირექტივაზე **Directive 95/46/EC ( of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data)** დაყრდნობით.

  – კონსტიტუცია;
  – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
  – სამოქალაქო კოდექსი;

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებსა და პრინციპებს, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისათვის;

# საქართველო - ცვლილებები კანონში

- **მუხლი 5 (ა) -** იმისათვის, რომ მონაცემები დამუშავდეს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის თანხმობა უნდა იყოს წერილობითი.

- **მუხლი 8 (6)** - „უზრუნველყოს სუბიექტის მიერ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის შესაძლებლობა იმავე ფორმით, რა ფორმითაც განხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი ან/და განსაზღვროს ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალება მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისთვის“.

- **მხული 8 (3)** - „მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება დამუშავდეს ნებისმიერი მონაცემი“.

# საქართველო - clickatell; experttexting და მსგავსი წყაროები

შეტყობინება იგზავნება ისეთი საიტებიდან როგორიც არის www.clickatell.com; www.experttexting.com - ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?






# შეტყობინებების თავიდან აცილების არსებული გზები

1) განცხადების დაწერა ოპერატორის სახელზე; (ზღუდავს მხოლოდ ოპერატორის მიერ გამოგზავნილ შეტყობინებებს);

2) განცხადების დაწერა კომპანიის სახელზე;

3) ნომრის ადგილობრივად (ტელეფონში) დაბლოკვა; (თუ მობილურ ტერმინალს აქვს მსგავსი ფუნქცია და ნომერი ჩანს)

4) საჩივრის დაწერა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სახელზე;

5) ჩივილი სასამართლოში;

მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ზემოქმედების ბერკეტები შემოიფარგლება განცხადების შესწავლით და შედეგად სანქციის, მათ შორის ფულადი ჯარიმის დაკისრებით;

საქართველო - 500-დან 10,000 ლარამდე;

ა.შ.შ. - $11,000 ერთ ნომერზე;

ევროპა 1 შეტყობინებაზე/ზარზე - €5,000-დან €250,000-მდე.

# საერთაშორისო პრაქტიკა - მოკლე აღწერა

- „**Do Not Call Registry**” ;
- იგივე “**Robinson’s List** (ევროპა);
- ან “**Opt-out” “opt-in” list.**

ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემთა ერთგვარი რეესტრი, რომლითაც ხელმძღვანელობენ კომპანიები პირდაპირი მარკეტინგის, სარეკლამო, საინფორმაციო სახის შეტყობინებების დაგზავნისას.

# საერთაშორისო პრაქტიკა - მონაცემთა რეესტრი



ზოგადი ფორმა

- ონლაინ, ელ.ფოსტის, ტელეფონის, წერილობითი განაცხადი

- მომხმარებელი უთითებს საკონტაქტო ინფორმაციას/საშუალებას რომელზეც არ სურს შეტყობინებების მიღება

მომხმარებლის კოდი

- რეგისტრაციის დასასრულს მომხმარებელს ენიჭება უნიკალური კოდი, რომელიც გამოიყენება მომხმარებლის /ქმედებების იდენტიფიცირებისათვის

მონაცემთა ბაზა/რეესტრი

- მონაცემები აისახება ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში

ცია ბაზა

– ადოდ;

– შეზღუდულ

მონაცემების განახლება ხდება:

– მონაცემების რეგისტრაციის თანავე (24 საათი);

– ყოველი თვის კონკრეტულ რიცხვში;

– სხვა პერიოდულობით.

# საერთაშორისო პრაქტიკა- რეგისტრაცია - იურიდიული პირი/კომპანია, რომელსაც სურს შეტყობინების გაგზავნა

**იურ პირი რეგისტრაცია, ზოგადი ფორმა**

- ონლაინ, ელ.ფოსტის, წერილობითი განაცხადი

**პერსონალური მონაცემების რეგისტრაცია**

- საგადასახადო /სარეგისტრაციო კოდი; კომპანიის სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები;
- უთითებს მისთვის სასურველ კომუნიკაციის ფორმას და რეკვიზიტებს

**მომხმარებლის სახელი და კოდი**

- რეგისტრაციის დასასრულს ენიჭება მომხმარებლის სახელი და უნიკალური კოდი, რომელიც გამოიყენება კომპანიის/ მისი ქმედებების იდენტიფიცირებისათვის

**მონაცემთა ბაზა/რეესტრი**

- კომპანია და მის მიერ მოწოდებული მონაცემები აისახება მონაცემთა ბაზაში

# საერთაშორისო პრაქტიკა - ბაზაზე წვდომა

ორგანიზაციებისათვის მომსახურება/მონაცემების შემოწმება ფასიანია

ორგანიზაციები:

1) წვდომა სრულ სიაზე, ონლაინ რეჟიმში ან მონაცემების შემცველი ფაილის ჩამოტვირთვის სახით;

2) წვდომა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ტიპის საკონტაქტო ინფორმაციაზე, ონლაინ რეჟიმში ან მონაცემების შემცველი ფაილის ჩამოტვირთვის სახით;

3) საერთოდ არა აქვს პირდაპირი წვდომა ბაზასთან.

მონაცემებს, რომლის გამოყენებასაც აპირებს უგზავნის შესაბამის ორგანოს წარმომადგენელს და უკან იღებს შესწორებულ ვარიანტს, საიდანაც ამოშლილია ბაზაში დარეგისტრირებული მონაცემები.

# საერთაშორისო პრაქტიკა - ბაზაზე წვდომა/ მონაცემების შემოწმება

**მონაცემების შემოწმება**
- ონლაინ, სხვა წინასწარ დადგენილი მეთოდით

**კომპანიის მონაცემთა ბაზა/ს**
- კომპანია მონაცემებს (მომხმარებელთა საკონტაქტო მონაცემები) ქმნის/ინახავს წინასწარ განსაზღვრულ ფორმატში

**მონაცემები გადადის ცენტრალური ბაზაში**
- კომპანია მომხმარებლების შესახებ მონაცემებს უგზავნის ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორს გადამოწმების მიზნით წინასწარ განსაზღვრულ ფორმატში

**მონაცემების ურთიერთშე დარება**
- ბაზაში, როგორც წესი, ავტომატურ რეჟიმში ხდება მონაცემების ურთიერთშედარება

**ეგზავნება ე.წ. "სუფთა სია"**
- კომპანიას, მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული საშუალებით, ეგზავნება შესაბამისი მონაცემები

| მმართველი ორგანო | დასახელება |
|---|---|
| ასოციაცია (Pacitel - ტელ.ზარები); ოპერატორების ასოციაცია (SMS) | national do not call list; 33700 |
| ვაჭრობის ფედერალური კომისია | Do not call registry |
| კვლევითი სამეცნიერო ფონდი (უგო ბორდონის სახელობის ფონდი) | Registro Pubblico delle Opposizioni |
| კომუნიკაციების და მედიის მარეგულირებელი ორგანო; ტექ. მხარდაწერა "Service Stream Solutions Pty Ltd" | Do not call registry |
| მარკეტინგის ასოციაცია | Robinson list |
| მარკეტინგის ასოციაცია | Prohibition service |
| მარკეტინგის ასოციაცია; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი | Robinson list |
| მონაცემთა დაცვის სააგენტო<br>პირდაპირი მარკეტინგის ასოციაცია; | Robinson list |
| პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი/ICO /DMA | telephone preference service; mail preference service |
| პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი | Do not call registry |
| რადიოს, ტელევიზიისა და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია | Do not call list |
| ფედერალური ეკონომიკური პალატა | Robinson list |
| ციფრული ეკონომიკის ასოციაცია | Robinson list |
| ციფრული მარკეტინგის ასოციაცია; მარეგულირებელი | Nix phone |

# საერთაშორისო თანამშრომლობა

- 2014 წ. 15 მარეგულირებელი - მუდმივი წევრი
- **წევრები და დამკვირვებლები -** სახელმწიფო სტრუქტურები, ბაზრის/სექტორის წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული პირები;
- **შეხვედრა:** ყოველწლიურად; ყოველ მე-2 თვეს (ტელეკონფერენცია)
- **თანამშრომლობის სფერო:**
  - **SPAM**
  - **ტელემარკეტინგი**
  - **არასასრუველი შეტყობინებები (unsolicited call/sms/e-mail)**

2011 წ. - შეიქმნა **International Do Not Call Network**
(London action plan)



# საქართველო - მონაცემთა ცენტრალური რეესტრი

- მონაცემთა ცენტრალიზებული რეესტრის შექმნა;
- საცნობარო მომსახურების რეგულირება (118-09; 118-08 სატელეფონო ცნობარი);
- თანამშრომლობა კომისიასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს შორის

  თანამშრომლობის სფეროები:

  - ✓ საკანონმდებლო ცვლილებები;
  - ✓ ცენტრალიზებული ბაზის სტრუქტურა;
  - ✓ ბაზის ოპერირების და ადმინისტრირების საკითხების განხილვა/შეთანხმება;
  - ✓ საჩივრები და სანქციები;

- ოპერატორებთან და დაინტერესებულ პირებთან კონსულტაცია/თანამშრომლობა.

# გმადლობთ